04/10/2024

MES 1 24 0001273115

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნათია კვირიკაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
თეა ლილუაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
თამარ ბიბილაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ქეთი მუთიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის N2 საჯარო სკოლა:
თამარი მაისურაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლა:
მაია ნინიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლა:
მაია ჩაჩხიანი სკოლის დირექტორი

შპს - ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე:
არჩილ სუმბაძე - სკოლის აკადემიური დირექტორი

შპს - ევროპული სკოლა:
სოფიო ბაზაძე - სკოლის დირექტორი
ხათუნა ბარაბაძე - ქართული პროგრამის ხელმძღვანელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის №2 საჯარო სკოლა:

ა) ლია ჯალაღონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიკო ანთაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა დუგლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ზაზა მანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ხოსროშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ცოტნე გვაჯაია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია ბჟალავა (სახელმწიფო საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლა:

ა) ნანა ედიშერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია ძირკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლაურა ჯიმშელეიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანი მეხუზლა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე გაფრინდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა ნანობაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ელისო ვადაქარია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლა:

ა) მარინე ჯანაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამაზ ცხადაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან ტურიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ელენე ოგბაიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თეა მამულია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე:

ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაია შამუგია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნონა ბეროშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს ევროპული სკოლა:

ა) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ციალა გაგნიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 20 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - „ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე“ - ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - „ევროპული სკოლის“ მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს - ევროპული სკოლის“ მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია ჯალაღონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 15 და 16 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 180. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 180 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში იყო კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები. ექსპერტის თქმით, სკოლის ეზოში განთავსებული იყო მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის ობიექტი, ასევე, შიდა და გარე სპორტული მოედნები, საჭიროებდა რეაბილიტაციას.

ექსპერტმა, ლია ჯალაღონიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, რატომ იყო სკოლის ეზოში მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის ობიექტი და რა საფრთხეს შეიცავდა დაწესებულების ტერიტორიაზე აღნიშნული ნაგებობის არსებობა.

ექსპერტის, ლია ჯალაღონიას განმარტებით, აღნიშნული ობიექტი განთავსებული იყო სკოლის უკანა ეზოს ცენტრალურ ნაწილში და იყო მოქმედი, შესაბამისად, იყო რისკი იმისა, რომ მოსწავლის მიახლოების შემთხვევაში შექმნილიყო საფრთხე.

სკოლის დირექტორის, თამარ მაისურაძის, განმარტებით, ელექტროგამანაწილებელი ობიექტი ეკუთვნოდა ენერგო-პრო ჯორჯიას და წლების განმავლობაში დაწესებულება აწარმოებდა მოლაპარაკებებს აღნიშნული ობიექტის სკოლის ეზოდან გატანის მიზნით. უახლოეს მომავალში კი სკოლასა და ენერგო-პრო ჯორჯიას შეთანხმების საფუძველზე, იგეგმებოდა აღნიშნული სივრცის ღობით გამიჯვნა. სკოლის დირექტორის განცხადებით, იმისთვის, რომ მოსწავლეები ახლოს არ მისულიყვნენ საფრთხის შემცველ ობიექტთან ჰქონდათ გაძლიერებული მორიგეობის სისტემა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ვითარება იყოს სკოლის ტერიტორიაზე არსებულ სარწყავ არხთან დაკავშირებით, რომლის ნაწილიც ღია იყო.

სკოლის დირექტორმა, თამარ მაისურაძემ, აღნიშნა, რომ სარწყავ არხთან დაკავშირებით მიმდინარე პერიოდში დაწყებული იყო მუშაობა და იგეგმებოდა გადატანა სხვა ტერიტორიაზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, რა ვითარება იყო სამედიცინო პერსონალთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორის, თამარ მაისურაძის, განმარტებით, მაღალმთიან რეგიონში კადრების მოძიება პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა და გეგმავდნენ გამოეცხადებინათ კონკურსი კვალიფიციური სამედიცინო კადრის აყვანასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა იყო თუ არა სკოლაში შექმნილი ინკლუზიური გარემო. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის, სოფო ანთაურის განმარტებით, სკოლას ჰქონდა რესურსოთახი, დასაქმებული იყო სპეციალური მასწავლებელი, რომელსაც შედგენილი ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მისი თქმით, ინკლუზიური განათლების მიმართულებით სკოლაში აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი და კომპლექსური დავალებები.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს რა პროცესებს ახორციელებდა დაწესებულება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისთვის. სკოლის დირექტორის განმარტებით, წლების განმავლობაში ტარდებოდა პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები, კლასების მიხედვით, შემდგომ აღნიშნულს უძღვებოდნენ კლასის ხელმძღვანელები, ხოლო მომავალი სასწავლო წლიდან დაუბრუნდებოდნენ ძველ მიდგომას და სემესტრში ოთხი გაკვეთილი დაეთმობოდა პროფორიენტაციას.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, გადიოდნენ თუ არა პედაგოგები ტრენინგებს და არსებობდა თუ არა სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფი.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მასწავლებლები აქტიურად ესწრებოდნენ მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებულ ვებინარებსა და ტრენინგებს, ასევე, მისი თქმით, სკოლაში შექმნილი იყო ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც აქტიურად მუშაობდა და უზიარებდა ინფორმაციას კოლეგებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:35

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 222725736) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი უდე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი უდე

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი უდე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის სექტემბერში 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის აყვანის, მაღალი ძაბვის კონსტრუქციის უსაფრთხო ადგილას გადატანის, სარწყავი არხის დახურვის, სკოლის რეაბილიტაციისა და პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

2. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი

განხორციელდა 2024 წლის 23 და 24 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხეში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 350. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი, დაწესებულების რესურსიდან გამომდინარე, მას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა მოწესრიგებული ეზო, ლიფტი, შიდა და გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის საჭირო ყველა რესურსით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ლაბორატორია, სამედიცინო ოთახი, ბიბლიოთეკა და რესურსოთახი.
ექსპერტის, ნანა ედიშერაშვილის განმარტებით, სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად ჰქონდა წარმოებული საქმისწარმოების დოკუმენტაცია და მოსწავლეთა პირადი საქმეები.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რატომ ითხოვდა სკოლა 350 მოსწავლეს თუ მას არ ჰქონდა შესაბამისი მატერიალური რესურსი.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, მაია ნინიძის განმარტებით, თავდაპირველად სკოლის შენობა გათვლილი იყო 350 მოსწავლეზე და აღნიშნული მოთხოვნა გამოწვეული იყო ამ ფაქტით. თუმცა, ვინაიდან მატერიალური რესურსი არ იძლეოდა 120 მოსწავლეზე მეტი მოსწავლის მიღების შესაძლებლობას, ეთანხმებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო: 16:55

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლას (ს/კ: 242007396) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბუკისციხე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბუკისციხე
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბუკისციხე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის სექტემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხ ის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 12 და 13 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანაში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს, ასევე, ჩართული იყო „CineDoc სკოლა - დოკუმენტური ფილმები განათლებისთვის“ საერთაშორისო პროექტში. სკოლაში შექმნილი იყო სასკოლო კლუბი სახელწოდებით „CineDoc-ალპანა“ და აღნიშნული პროექტის ფარგლებში სასკოლო საზოგადოებისთვის ხორციელდებოდა დოკუმენტური ფილმების ჩვენება, რომლის შემდგომაც იმართებოდა დისკუსია ფილმში გამოვლენილი თემატიკის ირგვლივ. ექსპერტის თქმით, კინოკლუბის პრაქტიკული საქმიანობის გაძლიერების მიზნით, სკოლის მიერ შერჩეული მოსწავლეები დაესწრნენ ტრენინგებს, საფრანგეთის სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ონლაინ რეჟიმში, ხოლო ტრენინგების დასრულების შემდეგ შექმნეს მოკლე დოკუმენტური ფილმი „მეწყერი-CineDoc group3“.
ექსპერტმა სკოლის ძლიერ მხარედ ასევე დაასახელა STEM პროექტების განხორციელება, მისი თქმით, მოსწავლეები ჩართული იყვნენ სხვადასხვა საერთაშორისო თუ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ პროექტებსა და გამოფენებში, აქტიურად ხორციელდებოდა CK-12 საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმით გათვალისწინებული პროექტებიც, ასევე სკოლას ჰქონდა თანამედროვე ვირტუალური ლაბორატორია
ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები მოწყობილი ჰქონდა სამივე მიმართულებისთვის (ფიზიკა და ქიმია-ბიოლოგია), საჭირო აღჭურვილობებითა და საცავი ოთახებით. ექსპერტის განმარტებით, ახალ რესურსებთან ერთად დაწესებულება სათანადოდ ინახავდა ძველ მასალებს, მულაჟებს,

ჩონჩხებს და ყველა რესურსს, რაც ხელშემწყობი ფაქტორი იყო საბუნებისმეტყველო საგნების საფუძვლიანი სწავლებისთვის. ასევე, სკოლას ჰქონდა ტელესკოპი და მოსწავლეთა მიერ შედგენილი ცის რუკა.
ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა, წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ხოლო საგაკვეთილო პროცესი, რიგ შემთხვევაში, ხორციელდებოდა სკოლის მიერ სპეციალურად მოწყობილ ვერანდაზე. სკოლას ჰქონდა ყველა საჭირო რესურსით აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, რესურსოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰყავდა ექიმი და სველი წერტილები არ იყო ადაპტირებული.
ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:10
დასრულების დრო: 17:17

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლას (ს/კ: 242576208) 9 წლის ვადით მიენიჭოს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ალპანა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ალპანა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ალპანა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის სექტემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ექიმის/ექთნის აყვანისა და ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. შპს - „ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე“ - ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს

თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 31 ივლისსა და 01 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში და სურდა განეხორციელებინა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 600. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ინვენტარით, რესურსით და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ხომ არ სურდა რაიმეს დამატება.

სკოლის აკადემიურმა დირექტორმა, არჩილ სუმბაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ ყველა რჩევასა და რეკომენდაციაზე დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მუშაობა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილი დოკუმენტაციის ძირითადი ნაწილის მტკიცებულებები კი სკოლას გადაგზავნილი ჰქონდა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, მათ შორის, მასწავლებელთა დასაქმების შესახებ დოკუმენტაციაც. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება არ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რამდენიმე რჩევას, ვინაიდან გარკვეული რჩევები არ წარმოადგენდა კერძო სკოლისთვის აუცილებლად შესასრულებელ კომპონენტებს. მისი თქმით, მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა კერძო სკოლებს ანიჭებდა მეტ თავისუფლებას, ისეთი მიმართულებით, როგორიც იყო, მაგალითად თემების სავალდებულო ჩამონათვალის, შემოქმედებითი პროდუქტების არსებობა, საათობრივი განაწილება და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ საბჭოსთვის მისაღები იყო, როდესაც სკოლები კომპეტენციის ფარგლებში ქმნიდნენ ინდივიდუალურ, ორიგინალურ კურიკულუმებს. მისი თქმით, სკოლის მიერ შექმნილი კურიკულუმები უნდა იძლეოდეს შესაბამისი საფეხურის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და იყოს გამართული.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორ მიმდინარეობდა დაწესებულებაში მასწავლებელთა დასაქმების პროცესი.

სკოლის წარმომადგენლის, არჩილ სუმბაძის განმარტებით, მასწავლებელთა აყვანის პროცესი დასრულებული იყო და შესაბამისი მტკიცებულებები წარმოდგენილი ჰქონდა ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე - ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:33
დასრულების დრო: 17:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

სკოლის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღე, 2024 წლის 20 სექტემბერი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს - ბაქსვუდის სკოლა გელოვანზე-ს (ს/კ: 405712082) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი N 1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი N 1

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი N 1

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 20 სექტემბერი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის სექტემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების,C ბლოკის სრულად მოწყობის, მათ შორის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით აღჭურვის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 და მე-6 საკითხები გაერთიანებულ ფორმატში განიხილებოდა, რადგან შეეხებოდა ერთი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხებს.

5. შპს ევროპული სკოლის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს ევროპული სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ განმარტა, რომ აღნიშნული დაწესებულების განხილვაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას, რადგან შპს-ევროპულ სკოლაში დასაქმებული იყო როგორც მათემატიკის მასწავლებელი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 07 აგვისტოს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების განაცხადები. ექსპერტმა, განაცხადა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ირინა სხირტლაძის N2-სა და კ. ქუთათელაძის N10ᵃ-ში და სწავლებას ახორციელებდა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებზე. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N47-ში შეიძინა შენობა და აქედან გამომდინარე, დაწესებულება ითხოვდა ქ. თბილისში, აღნიშნულ მისამართზე, ფართის დამატებას, სადაც განახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს.
მანანა ალიბეგაშვილის განმარტებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 1800 მოსწავლით. აქვე, ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა, დასძინა, რომ დაწესებულება ითხოვდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას და 2600-ით განსაზღვრას, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2600 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული წარმოებების ფარგლებში დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის პირობების შესრულების შემოწმება. ექსპერტის თქმით, მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და განმარტა, რომ შენობა აღჭურვილი იყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარითა და რესურსით, ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1. შპს - „ევროპული სკოლის“ მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების საკითხი;
2. შპს - „ევროპული სკოლის“ მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 2600-ით განსაზღვრის სკაითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:00
დასრულების დრო: 18:05

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -9
წინააღმდეგი - 0

სკოლის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღე, 2024 წლის 20 სექტემბერი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

1. **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს - ევროპული სკოლის (ს/კ: 205172917) მისამართის/ფართის ცვლილება, დაემატოს მისამართი და აღნიშნულ მისამართზე მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი’ ალ.ყაზბეგის N47
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი ალ.ყაზბეგის N47
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი’ ალ.ყაზბეგის N47

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 20 სექტემბერი.

2. **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს - ევროპული სკოლას (ს/კ: 205172917)მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2600-ით.

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 20 სექტემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:10 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა